რადიოაქტიური მასალის ქვეყნის შიგნით შეძენა

1. ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს“ წარუდგენს წერილობით განცხადებას. განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი; განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს; მოთხოვნას; განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას; განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში;
2. განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ ნებართვის რომელი სახის მიღებას მოითხოვს ნებართვის მაძიებელი, და თანდართული საბუთების ნუსხას;
3. განცხადებას უნდა დაერთოს ყველა ის საბუთი, რომლის წარდგენის ვალდებულებაც განმცხადებელს კანონით ეკისრება;
4. განმცხადებელს უფლება აქვს წარუდგინოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა სხვა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას;
5. განცხადებას უნდა ერთოდეს: კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისთვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისთვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;
6. განცხადებას უნდა ერთოდეს სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნებართვის მაძიებელია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება;
7. განცხადებას ასევე უნდა ერთოდეს მიმღებისა და მიმწოდებლის სალიცენზიო/სარეგისტრაციო მოწმობები;
8. წარდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია რადიოაქტიური წყაროსა და დამცავი კონტეინერების მახასიათებლების თაობაზე;
9. განცხადებას უნდა ერთოდეს ინფორმაცია რადიოაქტიური წყაროს ფიზიკური დაცვის უზრუნველყოფის შესახებ;
10. წარდგენილი უნდა იქნას მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება;
11. განცხადებას ასევე უნდა ერთოდეს ინფორმაცია ტრანსპორტირებისას უსაფრთხოებისა და ფიზიკური დაცვის უზრუნველყოფის შესახებ.

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით, რადიოაქტიური მასალის ქვეყნის შიგნით შეძენის ნებართვისთვის დადგენილი სანებართვო მოსაკრებელი განსაზღვრულია 20 ლარის ოდენობით.

ნორმატიული აქტები

- ✓ საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“
  https://www.matsne.gov.ge/document/view/26824?publication=120

- ✓ საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“
  https://matsne.gov.ge/document/view/12880?publication=93

- ✓ საქართველოს კანონი „რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის შესახებ”
  https://matsne.gov.ge/ka/document/view/5827850?publication=2#DOCUMENT:1;
- ✓ „ბირთვული და რადიაციული საქმიანობის შეტყობინებისა და ავტორიზაციის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილება (03.12.2025 წ.; N525)
  https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/6689169?publication=0